

# ԹԵՐՈԱԼԵՑՈ

ԺԱՌՈՎԱՐԸ ԹԻ ԵՐԱԾՈՅՆ ՊԵ.

Ե Տ Ե Ք Տ Հ Տ Ե Ա

— — — — —

Тифлис.  
Թիֆլում Կյանքու Խորհրդական  
1888.



# ბერიძეები

ქართულ მთერლეგაც.

36856

სახ და დას.



Тифлисъ.  
ექვთიმე სელიძეს სტამბა.  
1888.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Июля 1888 года.

# ეინ მიაქცია ჰირველად საქართველოში ბატონ- უმობას უკრადლება.

ჩენ, ქართველებს, მაინცა და მაინც არა გვაძეს მდიდარი წარსული, ჩვენი წარსული არის უოგელივე ჩვენი უბედურების მიზეზი და შეცდომანი. ეს შეცდომები ჩვენმა მამებმა ჩვენ არ აგვაცილეს გზიდამ. იგინი ამაბის თავიდამ ასაცილებლათ სულ არ ზრუნავდნენ, იგინი არ კრძობდნეს თავიანთ მამების უცდომებს, არ გრძობდნენ თვით თავიანთ შეცდომებსაც. რომ უოგელივე ჩვენის უბედურების მიზეზი თვით ჩვენი წინაპრები ყრიან, ამას ფიქრი არ უნდა, მაგრამ ამ უბედურებაზე უარესი უბედურება ის არის, თუ ასეთ შეცდომებს არც შთამომავლობა აკვირდება და იგი არ სცდილობს, რომ ეს თავის მამაპა- პური შეცდომები თავიდამ აიცილოს. მე ჩენს ძეგლს მამებს მაინცა და მაინც დიდის საუკედურებით არ მიგმართავ, მე მინდა აქ შეგხსო მსოლოდ იმ ძეგლ ქართველ მამებს და მწერლებს, რომებიც ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდამ ვიდრე ამ საუკუნის ნასევრამდის სცხოვრობდნენ.

ჩენდა საუბედუროთ, როცა მე ამ საუკუნის ქართველ მწერლების უმეტეს ნაწილზე მისდება ლაპარაკი, მაშინ მე მზათა გარ, რომ უგელა ჩვენი ძეგლი მამები და მწერლები სრულიად უარი კუთ და არსად არამც თუ მწერლათ, არამედ კაცთ კახსე-

ნო. ამათა კაცათ სსენება მე მიტომ მიმაჩნდა მეტათ, რადგა-  
ნაც მათს ცხოვნებას და მოქმედებაში კაცური არაფერი გამე-  
ტებულა, მათ კაცობის მოსაგონებლად ჩვენთვის არაფერი გად-  
მოუციათ ხელში ძეგლათ. რაიც შეეხება მწერლობის მსჯითაც  
უკრის ყოფას, ამასედაც სრული თავისუფლება გვაქვს ჩვენ,  
რადგანაც იგინი არც ისეთი მწერლები იყენებ, როგორნიც მა-  
თი დროის კვალათ უნდა ყოფილიყენ. ესენი განვითარებულ-  
ნი იყვნენ თვის მამებისაგან გაფრცელებულის უხერო იდა-  
ლებისაგან, ამის მეოხებით ესენი მეტის მეტი უკიდურესის  
სისიათებით იყვნენ გრძე მოცულნი. ესენი დიდათ ზატივისწე-  
მელნი იყვნენ ქართველ ერის ძველის ინტელეგტუალურის  
მსარებისა და წარიღმაზურის სამსედო გრძელებისაგან,  
ძველთა მოქეთვართ საზანდართა, მესიმღერეთა და მეჭიანურეთ  
ზატივისცემისაგან და ამას გარდა ლამაზთა კავ-კაწაწე და-  
გრძებისა და ყირმიზ ლოუებზე დასუნებისაგან. ამაქბით ჩვენი  
მამები ისე გატაცებულნი იყვნენ, რომ მათ ამაქბის საქმრათ  
ლექსების წერაც დაიწყეს, რომელ ლექსებშიაც უკელა ესენი ქე-  
ბა, დიდებით არის ხამოთვლილი. ეს უკარგისი ლექსები პირ-  
ები სანში იქნებოდა ბოლომე, საცა იგი იწერებოდა, მაგ-  
რამ გავიდა სანი, მათ გაფრცებულ შინაარსის ლექსებმა ფრთე-  
ბი შეისხა და გაუჩნდენ მას თავიანის მცემელნი, ეს თავვანის  
მცემელნი იყვნენ ჩემს ქელ მწერლებთაგანვე შექმნილი შეიძლები,  
მარტო მათი მოდგმის, მათი შთამავლობის და მათი ლაზ-  
ლანდარობის გავლენის ქვეშ მეოფნი. ამ ახალგაზდებმა ცოტა  
არ იუს თავიასთ მამებს გადაკარბეს ენით თითლიბაზობა-  
ში. ესენი უფრო მწარეთ ჰერლებდნენ ქართულს ძველს ლხი-  
ნებს და ქეივებზე. ამათ უკვარდათ ქართული ქეივები, ქართუ-  
ლი ენა, ქართული ზღაპრები, ქართული სიმღერები და სსვანი,

მაგრამ უკელა ესენი მხოლოდ თავიანთთვის. ესენი დადათ  
კმაყოფილი იყვნენ ქართველების მეცნი წესწულის და  
მის დადის პატივის მრემელნიც იყვნენ, ეს რასაკვირველია  
ასეც უნდა უოფილიყო, რადგანაც კინ აამაღლა იგინი და და-  
წინაურა გვარიშვილობის მედიდურობით თუ არ ქართველების  
ძეველმა ცხოვრებამ. უნდა გსითქვათ, რომ არე ეს შვილები  
იყვნენ დიდი ცოდნის პატიონის, ამათთვის ერთი ისიც კმა-  
როდა, რომ საღმე ერქვათ, რომ ჩენ ჩენი ქართველობა გვი-  
უვარის. ეს ჭარებიც უოკელთვის არ ჭქონდათ მათ თავში,  
ამ ჭარების მგმობლთაც სშირად გამოდიოდნენ ეს პირები.  
როგორათაც ამათი მამები იყვნენ ათას ნაირის შეცდომებით  
სავსენი და თავიანთ ცოდნების მორევში ცურავდნენ, ისესი ამ  
შვილებს დაქმართათ და ესენიც მაღე ჩაცურდნენ ამ ცოდნის  
ზეირთებში. ეს ცოდვის შვილები და საძაგლობის ზეირთებში  
ჩაყრილი პირები ბრძანდებან ის გმირები, რომელთაც ერთ  
დროს ჩენში ათერგდალეულების ეძახდნენ. ამათი რიცხვი შე-  
სდგებოდა მარტოთ-მდიდარ თავიდ აუსაურთ შვილებთაგან, ამათ  
თავიანთ მამებზე ცოტა ღვიანთლებაც მეტი ჭქონდათ და  
მის მეოსებით ესენი უფრო კარგათ იცავდნენ თავიანთ ავაზა-  
კურს ინტერესებს. ამ გვარ ინტერესების დაცვას გარეშე, ესე-  
ნი მეტის მეტი აღტაცებაში მოდიოდნენ თვისის მამებისაგან  
დატოვებულ ღექსების. სელოგნებისაგან. უოკელთვის და უო-  
სილგნე მხოლოდ ასეთ რამებზედ ჭქონდათ საუბარი. ესენიც  
გატაცებული იყვნენ ქართულის ყასწების და აზართვეშებით ქა-  
ვებისაგან, აქ ჩენთ გამოჩენილი მეცნი მესიმლერეთ სიმღ-  
რებისაგან და ათას ნაირის ქართულის რამებით მოიქეითე  
შეენის მუკლეფავ და მღლეტავ პირთ მოქმედებისაგან, ეს უგიც  
პირები, როგორც სხვის ტანჯვაში გამოუცდელია, სისკათა

ტანჭვის გაუგებაზნი და სხვის ღვლით და შრომით კამა-  
დაცნი მოუმზადებელნი იყვნენ უფერ ნარის სეარიან საქმეთ  
წინ წამებას მოაზრებას შევე; ამათ დაწესეს თავიანთ მძმებისა-  
გან დატოვებულთ გარეგნილთ ლექსების ბეჭდის ნატესა და  
ბოლოს იქამდის მივიღნენ, რომ ამ ლექსების ბეჭდისაც მი-  
ჰქონდეს სელი და საღამი დაუწეუს გავრცელება. ამათ თავიანთის  
შემძლებლობის და სახელის ძალით დიდათ იმოქმედეს საღამი  
და ეს გარეგნილი შინაარსის ლექსები ერთობ განავრცელეს  
საღამი. მათის საშუალებით კახადა ლექსების წერა და  
ზეჭვა! აქ უკეთა ლორელიანების, ჭავჭავალების, ერისთავების და  
სხვებს ჭბაძავდნენ და უკეთა ამათობის ნატორბდნენ! ამ პირთა  
მეოსებით ჩენი მწერლობის საჭმე ისეთი დაქარჭესული იყო  
და ისეთ მტკდარ მწერლების სელში იყო შიაგარდნილი. როთ  
მელთა საშუალებითაც ჭართულის მწერლობის მხოლოდ შინაუ-  
რული. მკვდარი, დარბაზული კარძოებითი სასიათი და  
დასიშეულება უნდა ჭრონდა. ამ უამიტა პირებში ისე  
გაატაცეს თავიანთი უკავილოვანი ღრო, რომ მათ არც ერთ  
თავიანთ ნაწერს. თუ ნაჯდაბნ ლექსში თუ პროზაში ერთ-  
ხელაც არ შეახებიან თავიანთ თანამედროვე ჭართველ დაბალ  
საღსის ცხოვრებას. ავიღოთ მაგალითად თუნდ ბატონებობა  
და კიკითხოთ ის, თუ ჩენი 1850 მწერლები ამ დროის და-  
ბალ ჩაგრულ ერის შესახებ რას გარდმორჩეულებინ თავიანთ უნა-  
მუსოს მწერლობით, ბევრს არაფერს. ამ დროს, როცა  
მოულ საჭართველოში ემათ გასუიდება და დაწილება ჩენთა  
გამოჩენილთა მასთა სელობის შეადგენდა, როცა საჭართველოს  
დახაგრულ პირთა გოდება ურკველს გუთხეს მრისხანებით გა-  
ნისმოდა, ამ დროის ჭართველ გამოჩენილ უდიდეს სამსედო  
პატრიოტ მწერლები კი უზრუნველად განზე დაბრძნებულდნენ

და ნეტარების სიამოვნებით ატარებდნენ დოლს. ასეთ უბე-  
დურთამდი უურადღების მიშერობა თოთქოს ამ ულაპია პატ-  
რიოლი მწერალთ მოვალეობას არ შეადგენდა, არ შეადგენდა  
მით უფრო, რადგანაც უკეთა ამ უბედურებათა მომხდენი პი-  
რების ზოგი მათი მამანი იყვნენ, ზოგი მათი ბიძანი და  
სან თვითონ ეს «მამულო დაღუპულო»-ს მომდერალნიც  
ბრძნდებოდნენ. აქეთ გლეხ-კაცობა საქართველოს მელის ტი-  
რანულის ბატონუმერის მონებისაგან იღუპებოდა და იქით კა-  
ჩვენი სათავად-აზნაურო უნამუსო მწერლები კი ლალის ფერს  
ლოუებისთვის დნებოდნენ. ასე რომ ამ ჭეუნის მტკირთველთ  
და მღლეტეთ პირთ თავიანთ დოლის კვალად თავიანთ თანა  
მედოოს ჭართველ მამულთ მოვარე პატიოლტებთაგან უბედურად  
დამონებულ და დანაგრულთ ჭართველ გლეხ-კაცობის შესახებ  
სიტყვაც არა აქვსთ ნათქვამი თვის ნაწერებში, არსად ერთი  
ცნობა, მცირე შესედულება, ანუ შებრალება ამათი და კაცად  
აღიარება. ამიტომაც ჩენ თამამად შეგვიძლიან აქ, რომ ამ მწერ-  
ლების მწერლების სახელებიც არ უწოდოთ, არ უწოდოთ, მი-  
ტომ, რადგანაც ესენი საჭვეულო და საერო მწერლები არა უო-  
ფილან და თუ რამ უჯდაბნიათ, ისიც თავიანთის პატარა შავ-  
თვალა საყვარლებისათვის. მართალია ამ მწერლებთ ნაჯღაბნებს  
დღეს ჩენში კიდევ აქვს გავლენა და მნიშვნელობა, მაგრამ ამა-  
საც გატყით, რომ ესეც კიდევ დოლებითია, რადგანაც ჩენს  
საზოგადო ცხოვრების აგებულებაში დღესაც კიდევ მათ შეი-  
ლებს აქვსთ გავლენა და ჭერეთ კიდევ მათ აქვსთ ფეხი გა-  
მაგრებული. ეს არამც თუ მარტოთ, მწერლობაზე ითქმის, არა-  
მედ სხვა უკეთა ჩენს დაწესებულებაებზედაც, ეს ერთის მსობით,  
ჩენ ჭართველ მუშაობა და გლეხებისთვის არც უნდა იყოს  
საწერი, რადგანაც ჩენ არც გაზეთი გვაქს, არც უურნალი,

არც თიატორი, არც წერა-კითხვის სამართველო, არც დრამა-ტური საზოგადოება და არცარა კიდევ სხვა ასეთი კულტურული დროის გასატარებელი სამართველონი, მაგრამ, აგრძელობასთვის დრო და ეს დრო ერთობაც მაღვე იქმნება, როცენ სუკელა ასეთ პირთ ნაწერები ტახტიდამ გადმოიყრებან და იგინიც ისეთსაგე დავიწყებას მიუცემიან, როგორათაც მიუცნენ დავიწყებას მრავალი ისეთი გამოჩენილი სამსკედო გმირები, რომელთა სიამოებისა და სასელის გულისფვის აუარებელო სისხლიც იღვროდა. ესენიც ისევ განირინებან ჩვენგან, როგორთაც რესის ძელი მწერალი ბატუშკოვი, ბულგარინი, მარლინსკი, ტრედიაკოვსკი და სხვა ამ გვარები. ამათებური დრო ჩვენშიაც ერთობ მაღვე დადგება.

ასეთი მიმართვის შეძლება, მე იმედი მაჭეს, რომ მრავალი პატარ-პატარა თბილ-თბილი პატრიოტები დამიწუებენ საუკედურებს, რომ დასე როგორ ემტერება ქართულს მწერლობასათ, დასე როგორ უასის ჟოვის სრულიად მასაო. ამის შესახებ უკველია კიცხვასაც დამიწუებენ, მაგრამ კიდრე ეს იქმნება, მინამდის მე დაგავალებ ჩემს თანა მემამულე ქართველებს, რომ მათ ჩვენი წარსული და აწმუო მწერლობის და საზოგადოების არსებობის მსვლელობა შეისწავლონ და მე იმედი მაჭეს, რომ მაშინ უკელა ჩემი უარის უოფა ჭეშმარიტათ დარჩება. მტერლისა და კიცხვაში ამას მე ნურავინ ჩამომართო, კიტუვი ჭეშმარიტათ, რომ თუკი ჩვენს მწერლებს და პოეტებს უკვართ საქართველო, მეც ჩემის შეძლების დგგარათ ასევე გსცემ საქართველოს პატივს და მიუვარს იგი. მიუვარს არამც თუ მარტო ცრუპატრიოტობით და მელიათბით, არამედ ისე, როგორც მოვალეა უოკელი კაცი. მე მაინც ჩემი თავის ქებაში არ შევალ, ეს აქ მხოლოდ სიტუამ მოიტანა, რადგანაც მე არა

ერთხელ მკიცქეს და მისაყვედურეს იმის შესასებ, ოომ შენ  
ქართული მწერლების მოვამათე ხარ და მწერლობისაც უარს  
ჰქონდა. ამაზე უნდა ვსთქვა, ოომ ეს სწორეთაც ასეა და მე  
გვმობ ქართულს მწერლობის და მწერლებსაც მიტომ, რადგა-  
ნაც მე მათს მოქმედებას და მწერლობაში საერთს და  
თანასწორს არას ვსედავ. ჩვენი მწერლების და ისიც მკელი  
მწერლების უარისთვის ჩვენგან ერთობ სამართლიერიც უნდა  
იყოს, რადგანაც ხშირად ამათ მსჯელობას ის უნამუსო რა-  
მებიც შეადგენდა, ოომ საქართველოში ბატონიუმობა მამაშვი-  
ლობა იყოვთ. კერ ხედავთ, თურმე ჩვენებური ბატონიუმობა  
მამაშვილობა უოფილა! გაუმარჯოს ჩვენ ძეველ მწერლების  
მსჯელობას და მათ ჭუმანიურს ჭარებს და კა კაცობას. ასეთს  
უნამუსო მიმართულებას ადგნენ. ჩვენი მამები და ამაებსკე  
ქადაგებდნენ უოველთვის. ამ გვარ გამამღართ და ქვეუნის შეუძ-  
ლო ერის მხაგრელ ღრმა მწერალმაც ისაუბრა იმის შესასებ,  
ოომ საქართველოში უმას პატრიარქი ჰქონდა და არა ბატონიო,  
მეორე გამოჩენილი და ქართველ ციხე, კლეით დიდათ მომტი-  
რალი პოეტი გ. ორბელიანიც ასევე ჭირდების, ოომ უმას ჭყავს  
პატრიარქი და არა ბატონი, ორნივ ერთნი არიან უმა და ბატო-  
ნიო! უქ! უქ! ქება და დიდება ჩვენს ბატონიუმობას, ჩვენს  
წასრულს და სხვა. გარემოებამ ქმნას, ოომ ეს მამაშვილური  
ბატონიუმობა საქართველოს ერს ისევ დაუბრუნდეს, ასე იქმნეს,  
ოომ ამას თვით ეს უტეუდმორთი მაქებარნიც მოჟესწორან. უქ!  
რა სიხარულით მიეგებებიან და! მაგრამ გელატ მივართვით. თუ  
კი მართლა ბატონიუმობა საქართველოში მამაშვილობა იყო  
და უმა თავის ბატონის შევილი იყო, უმასაც ბატონი მამათ  
მიაჩნდა და ბატონისაც თავისი უმა მონა თავის დგიძლ შეიდა-  
თა, მაშინ ნეტა ვიღა კლტეოდა ამ ძეველი მამაშვილური წესე-

ბის დარღვევას კაი მამაშვილობა ჭირნათ, კარგი, ამათ მამაშვილობას ის შეადგენდა, ორმ ვიდრე მთავრობაშ არ აღუპრძესა მათ, მისამდის ეს საქეუქო ქართველი პატრიოტები თავიანთ უმებს საზოგადოთ ჴუდნენ. ჴუდნენ გოგოებს, ბიჭებს, ყმაწვილებს, დედაგაცებს და კაცებს. ამათ ერდულობდნენ და მიჯევანდათ იქით, საითაც კი წაიყვანდნენ, ისიც უნდა კსოვეთ, ორმ ყოფილან ისეთი მებატონე პირებიც, ორმელიც თავიანთ მონებს ისე არ აწესებდნენ და სტანდაციდნენ, ორგორც სხვა და სხვა სასტიკო ტირანები, მაგრამ ასეთი გულგეთილი პატონების რიცხვი ერთობ ცოტა ყოფილა, ასე რომ მის შენშენა არც კი ღირს. გარდა ასეთის გაუიღვისა ხშირად ყომარში და კარტშეაც აგებდნენ, ამისთანა შემთხვევების დროს წაგებულ უმებთაგან აიგსნენ უმებით მოელი თბილისის ბურუუაზული მოდგმის წურბელა ჩანჩხ წარმომადგენ მოქალაქეები; ორმელთაც პატონემობამდის აუარებელი უმებიც ჰევანდათ. თეთრი დუჭანიც ხომ ამ გაუიღულ პირთა საროსკიშოთ იყო დანიშნული, ჭავლაშის მიკიტენები და სხვანიც ხომ ასეთ უბედურთა ქალებით იყენენ საკსეუბი. ეს დრო და ხანი ისე შორსაც არ არის, ორმ ამის ცოდნა ბევრს არ ჭირდეს. ესენი დღესაც ბევრს ახსოვს და ხშირადაც ლაპარაკობენ იმ საქელმოქმედებათა მხარების გამო, ორმელსაც ჩენი ზოგიერთი. თავ-პოსლივა და კისერ-გასუქებული მამები მამაშვილობას უწოდებდნენ. სამარცხევინო არ უნდა იყოს ის, ორმ კაცი, ორმელიც ეროვნების ძლიერებათა წარმომადგენ ცისქ-კლშეთ, მონასტრების სტირის და ქართველის ტომის მომავალში აღორძინებასაც ამათ მართლმადიდებელ სისხლს და სარწმუნოების ძლიერებას მიაწერს, ორმ ასეთი პირი პატონემურს წესებს კი აქებდეს? ახა რაღა ფიქრი უნდა იმას, ორმ ესენი ამ მამაშვილობას შე-

სახებ მსოფლიდ იმას დასწერდნენ, რაც მათ სიამოვნებით გა-  
მადლის და ქეშელა მუცელს და გულს ენატოებოდა. ცხადი  
საქმია, რომ ესენი არც ემათა გასულდებას მასშტაბზე უკად-  
ლებას და არც სხვა ასეთ რამების. მწერლობით თუ არ აჰტე-  
დნენ უკადლებას, ეს არავერდ, ნერა საქმით მაინც მიმდინათ  
უკადლება, მაგრამ უბედურება იმაში იყო. რომ ესენი არც  
კალმით და არც საქმით ამაებს სულ არ შექმნიან, არ დაუწე-  
რიათ და არ უთქვამსთ რა იმიტომ, რადგანაც მასში, მათის  
ფიქრით, ცუდი, გასაგიცხა არა უოფილა რა. ამის გამო ალ-  
ორბელიანმა 1859 წ. „ცისკარში“ წერილიც დაბეჭდა და  
რაღაცა თავისებურს, მეცნიერების ბრძანით თავკანის საცემ მო-  
საზოგადებს ამტკიცებდა. ამ უკუღმართმა მოსაზოგადმ უბრალოდ  
არ ჩაიარა და დღესაც არას ჩვენში მრავალი ისეთი კუჭ-მაძ-  
ლარ ჰქონის გლახა პირები, რომელიც თავ-გადადებით იძრმვიან  
იმის წინააღმდეგ, რომ არავინ დაამტკიცოს ის, რომ ბატონ-  
უმიბა საქართველოში მოხების მგზავრის რამე ჰქონდათ.  
ასეთ მწერალთ გუნდთ ეკუთხნან სხვათა შორის მართლდა.  
დიდებელის სარწმუნოების დაცვისაგან შეშლილი კ. რობელია-  
ნი, პედაგოგით ცხობილი იყომ გოგის შეიღი, ჭავჭავაძე და  
მრავალიც სხვანი. მაგრამ რა საჭიროა ამათ წინააღმდეგ მოქ-  
მედება და მოღვაწეობა, როცა ჩვენ ამის წინააღმდეგ ერთობ  
ბევრი მასალები და ცნობები გვაჩვეს და უგელაფერი ეს მართა-  
ლი და კუშმარიზი არას, ამას თავის დროს ფაგტებით და-  
ვაძლებიც მოგვიცებთ. სანდისსან ზოგიერთი ვაჟაპატონები ბრძანებენ,  
რომ რაც იყო იყოვა, უგელაფერი ესენი ჩვენ უნდა დაკივიწ-  
ულოთ. ჩვენ დასავიწყელი და საქოთო არაფერი გვაჩვეს, რომ  
მათთან საქოთო არაფერი გვაჩვეს, ეს იქიდამაც აისწნება და  
მტკიცდება, რადგანაც მათი ხაწარმოები საქოთოდ მოეფს ქარ-

თველობაში არ გრცელდება, არც გაკრცელდება, და თუ გრცელდება ესეც მხოლოდ მათებულსაც მოდგმის შეიღებში და ანუ იმ წუწებ გლეხის შეიღებში, რომელიც მათ გავლენის შეს არიან და რომელიც მზად არიან, რომ ერთი სადილის ფასათ მათ თავიანთ ზენებითი მხარეებსაც კი უღალატონ, რა უყოთ! ესენიც თავიანთის გუჭის მოწამესის შიმშილისაგან არიან გაწუწებული და გაფუჭებული. უნდა კსოვათ, რომ არიან ისეთის ბრძა ჰატრიოტულის მიმართულების გაფუჭებული წუწები გლეხის შეიღებიც, რომელიც სხვათა გავლენის და ბრძათ თავიანის ცემის გამო ამასე ჭიდავებენ, რომ საქართველოში ბატონუმბია ისე არა სდევნიდა და სჩაგრავდა ხალხსაო, როგორც ზოგიერთები ჭიდიქობდენო. მაგრამ რა სთჭეს კაცმა ასეთ მოტეულებულს ბრძა ჰატრიოტ ჰირებზე. ესენი თავიანთის ცოტასტრიოტის მეოხებით ისე არეულ დარეულან, რომ ადარ იციან რა ჭქმნან, საით წავიდნენ, ვის ეცნენ, ვინ ადმერთონ და ვინ ადიდონ. ესენი გულამოსკვნით სტირიან იმზე, რაც კი წარსულს და ძველს ეპუთვნის. თუმცა მათ ჩვენი ძეგლის არც კარგი იციან და არც ავი. ეს ძველის მოუკარე მამულისშეიღნი იქამდის გაცნობილნი ჩრიან ჩვენის ძველის ცხოვრებისა, რომ ამბოს ნეკრესელის ქადაგებაზედაც კი ხშირათ საუბრობენ და ამბობენ, რომ ასეთი ქადაგება XVIII საუკუნეში არც ერთ ხალხს არა აჭისო. მე კი ამას კიტუკი, რომ ეს ქადაგება მართლაცა და ისეთი უჯიშო რამ არის, რომლის მსგავსი სულელობა მართლაცა და ბევრს ენაზე არ იქმნება. სხვათა შორის აქ არას ნათჭვამი: ვინც არ ეზიაროს და ის რომ მოკვდეს, ზექზე თოვი უნდა მოაბან და ძაღლებს უნდა გაათვევინონ. ასევე სხვა ათასი ამისთანები მოიპოვებს მაში, რომლის ჩამოთვლას მე აქ არ გააჭირობ.

სწორედ იმ წელიწადს, რა წელიწადსაც ერთმა ჩვენმა  
ძველმა მწერალთაგანმა „ცისკარში“ წერილი დაბეჭდა (1854  
წ.) შესახებ საქართველოს ბატონებმობისა და ამტკიცებდა, რომ  
ჩვენებური ბატონებმობა მამაშვილობა იყოვთ, სწორედ ამ წე-  
ლიწადს საქართველოში გამოსწინდა ერთი ასალებაზდა სემინა-  
რიელი, სემინარიის კედლებ-შეა ძველს საგნებზე ნატანჯი,  
სისხლ-გამშრალ პირთა ისტორიის კითხვებისაგან გაბეზრებუ-  
ლი და ჩვენთა მამათა ისასელიანებთა და მისთანა ბოლოს სლო-  
გებისაგან არა ჟუთილ და საიმედო პირთ ცნობილი დანიელ  
ჭონქაძე, რომელმაც თავის დროის კვალით დასწერა გვარიანი  
მოთხოვთა, „სურამის ციხე“ და რომელიც დაიბეჭდა 1859 წ.  
„ცისკარში“, ეს მოთხოვთა, როგორც თავის დროის შესა-  
ფერი განმი და ღირსეული მასალა ჩვენ ისე საუკრადღებოდ  
მიგვაჩნია, რომ აქ გვინდა რამდენიმე სიტყვით ამ მოთხოვ-  
ბის დამწერის წსოვრებას შეესროთ და იმასაც, თუ როცა  
«სურამის ციხე» დაიბეჭდა „ცისკარში“, მაშინ საქართველოს  
მაღალმა არისტოკრატიულმა თავად-ზენაურთამ როგორ შესედა  
მას. ამის დასაწერ ცნობებისთვის მე ვისარგებლე „ცისკრის“  
რედაქტორისაგან, რომელსაც ბეჭრი რამ მოსაგონებელი ამბები  
ასსოვს ჩვენის ძველის მწერლობის ისტორიისაგან.

## II.

დანიელ ჭონქაძე არის მამა იმ მწერლებისა, რომელთაც  
საქართველოში საქართველოს ერთს ბატონებმურ წესებს უუ-  
რადღება მიაპყრეს და მის წინადმიდევ დაიწეს წერა. როგორც  
რიგი და წესი იყო, თუ სსეა რამ მიზეზი, ამ საგრძნობელს  
საგანს ისევ უბრალო სემინარიელმა მაჭცია უურადღება და ამან

დასწერა პირველი წერილი ჩვენებულ ბატონიშვილის წინააღმდეგ. ჩვენი ძველი მწერალი მამები ამ გვარ წესებს ისე უცმერდნენ, როგორც რამ სამღვთო რამ კად საქმეებს, რადგანაც ეს ჩვენთა ძველთა მამათაგან არის დადგენილი და მის მოსპობის შესახებ საუბრი იქმნება ის, რომ ჩვენ ჩვენი ფხლებული მამები საფლავში შეგარყითოთ. | გარდა ამისა, ან რად უნდა ითქვას იმაზე რამე, როცა ჩვენებური ბატონ-უმობა წმინდა მამაშვილური წესები არისო. მაგრამ განა შესაწყინარისა ეს! არა მკონია, კაცი, ანუ მწერალი სრულდად მოუმზადებელი უნდა იყოს უოგელ სარს ცოდნათა კითხვებში და დაბალ ერის სხვა და სხვა უფლებების მოპოვება და დაკაში, რო ის ამაბის თქმას ბეჭდვდეს. ესენი მხოლოდ იმას დარღობდნენ, რომ ჩვენი ძველი კარგი დრო აღარ არისო, დიდ-შატარიავობა გაქრა და კველა ერთხარიათ სტისო. ეს ძველი გმირები არამც თუ ამაბის შესახებ საუბრობდნენ, არამედ ამის მსგავს სხვა და სხვა კითხვებსაც ეხებოდნენ და ამ კითხვებით გულს ისეთქავდნენ, ასეთ ბეჭდის მსარები, სადაც მის მძიეულება ლესავდა კბილებს, სადაც უკველნარს თანასაწორებრივ ჯიშრებს თვის აღღორმინების დასაწყისი ძარღანათ ჭრინდა მოთხრილი, უკველია, რომ ასეთ სიბრელით და მონებით მოცულს ერში და მსარები გერცარავინ გაბედავდა იმ წესწულბალების წინააღმდეგ რამის თქმას; რაც საუკუნოების განმაფლობაში ცირანულის ძალდატანებით მოძრაობას მოულის დაბალ ერისთვის ცხოვრების კანონიერ წესებათ დაედგონა და მიეცა. ჩვენ აქ იმასაც ვიტუვით. რომ მამინდელ ჭროველ მწერლებისთვის 1852—59 წლები არც ისე ადრე უნდა უოფილიყოს, რომ ამისაგან შინებოდათ და უურადღებაც მიტომ არ მიეცირათ, ეს მით უფრო, რადგანაც ტურგენევმა რუსეთში 1847 წელს მიაპყრო ამას უურადღება თავის

მწერლობით. გარდა ამისა ბელინსკიმ სომ რავდენ ნაირ ნაღველი არ ამოახოსა. 1840 წ. თვით მელექსეობაც კი ჰგმოდა მასხარათ აიგდო, \*) მაგრამ ჩვენი უბედურება იმაში იყო, რომ ჩვენი მამები და შაპები ამ შირთა ნაწერებს არ კითხულობდნენ, თორემ ამათ რომ ეკითხათ ესენი, მაშინ მათაც ეცოდინებოდათ ზოგიერთი რამები და მის მეოსებით ესენიც დასძრავდნენ თვის ტებილს ენას. მაგრამ კინ რა თავში იხლიდა ამას, ამათთვის ესენი რა საჭირო იყო, რომ ეკითხათ და გონებითი წასულიერების წინ. ესენი მხოლოდ მელექსეობით წავიდნენ წინ და რაც ამათ ჩლუნგ გონებას ენატრებოდა ესენიც იმასკე დამლერდნენ. ამ გამოჩენილმა მუხანათმა მამებმა და სხვისის შრომით და სისხლით გასუქებულებმა მხოლოდ თვის დროების გასატარებელს ზღაპრებს მიაქციეს უკადლება. ესენი სთარგმნიდნენ მარლინსკის მოთხოვებებს, მიღორდიანს, კუკ მაძღრიანს, მოხებანთ წესების დაცვას, ჯოვოხეთში ტანჯვას, სამოთხეში ანგელოზების უოფნას და ანუ სწერდნენ ისეთ მტერნარსა და შინაარსით ულიცს შეისებს, როგორი მასხარაბაც გირგი ერისთვის შეისებდა, რომლის შეისების სურათება იქამდის ულირსი, წვრილმანია, მურტალი და საზიზლარი, რომ მის შეისების თამაშობით ისე ზნეობითი მხარეები არ გავრცელდა ქართველ სალსში, როგორც გარეუნილება და ზნეობითი სიწამხვდრე. ამ გამოჩენილმა კომიკმა და მისმა დამქაშებმა თვის დროის ქართველ ერის ცხოვრებაში მხოლოდ თვილისურს ქართულს დამანჭულს ენის კილოს მაჟციეს უკადლება. ეს გმირნი მხოლოდ ამაზე საუბრობდნენ, რომ ენა წაგვისდა, ხედავთ თვილისის ხალსი რა ენით ლაპარაკობსო.

\*) Сочинение Белинского, т. VI.

გარდა ამაგბის ეხებოდნენ კიდევ ისეთ წერილმან მასსარულს და უმნიშვნელო კითხვებს, ორმელ კითხვების აღძროას იმ დროში არაფერი მნიშვნელობა ჰქონდა. არც ერთ ამ კომიკთაგანმა ერთის სიტყვითაც არ მიაქცია უურადღება თვის დროის დაბალ ერის ბატონუმურის მდგომარეობას, ამ მონური წესების შესახებ ერთი სიტყვა არც გიორგი ერისთავს აქვს ნათქვამი და არ სხვა მის თანამედროვე კამედიანიკურს მწერლებს, ორმედთა პიესებიაც დღესაც კიდევ სდგამენ სოლმე და მათ მოგონებასაც დღესასწაულობენ! ამის შესახებ არც ჩენის გამოჩენილს და მელექსეობის მცოდნე გრიგოლ თბილიანს. აქს რამე ნათქვამი, ორმელიც თვის კინტოურის მუხამბაზებით დღესაც კიდევ დიდათ იქნა და იდიდება ზოგიერთ ცრუ ჭატრიორებისაგან. არც კატანგ ლებელიანს, ორმელიც ქართველთ ციხე-კოშკ-კლდეთ სიუკარულის გამო გახელებული სტირის და ქვითინებს, საქმე კი არმ იქმნეს, მაშინ ის ამ დანერგულ ციხე-კოშკთ მოვლობელ ერის ბენიერებისთვის ერთ გროშვაც არ გაამეტებს. არც ალექსანდრე ჭავჭავაძეს და არც თვით გამოჩენალს ცრუ იდიალისტ ბარათაშვილს, ორმელიც თვის ლექსების შინაარსით ისე მკაფრად მთელის ერის და განსაკუთრებით გლეხი ხალხის ეკონომიკურად დაცემის და შირად თავის უფლებათა ღირსების დაკრძომას არ ჩივის, ორგორც მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს დაუძლეურებულს მანარსიულის წესების წარმომადგენს ბაგრატანთ შვილთ განკურმოებულს უსეარობას და დაკრძომილებას. ამ მუხანათობის ცრუ იდიალისტ მელექსეს დიდი ხანი არ დასცალდა, თორემ მე დარწმუნებული კარ, ორმ ეს ცრუ იდიალისტ ფანტაზიატორიც იმისთვის სანტიმეტრალურს ჭატრიორც ცრუ იდიალისტათ გარდიქცევოდა, ორგორშიაც დღეს ჩენი ფარალისტ და მართლ-მადიდებელთ კე-

დელთ და შთენთ დიდებულთ მომტირალი და დამცველი შე-  
ტები და მწერლები არიან. ნეტავი გამაგებინა და მაცოდინა ის,  
თუ როცა ზოგიერთნი ჩეენი ძეელი მწერლების ღისებაზე და-  
შარავობენ და საქაეუნოდ აწხადებენ ამათ ღვაწლს, რომ ჩეენმა  
ძეელმა მამა მწერლებმა ეს კავკათეს და ისაო, ნეტა რა გააკე-  
თეს ამათ და ნეტა ან რა უდევთ თავში იმ დროს ამ მაქებარ  
ბატონებს. რა უკეთებიათ ამ მამებს და თავიანთის ლექსებით  
ქართველ ქალთა მნიშვნელობა მხოლოდ საკმები კაშათ გარ-  
დუჭრევიათ, ანუ მაისის სასუნებელ კარდათ. ქართველ. ქალებს  
რომ განვითარება ჭრონდეთ და იცნობდნენ,, ქალების კითხებს,,  
მაშინ მათ თავისუფლათ შეეძლებათ რომ საჩივარი შეიტანონ  
ეს, სადაც რიგი არის, რომ დღეებს შემდგა ქართველ მეჯუჭ-  
სებს აღერძალოთ ის, რომ მათ ქართველ ქალთა მნიშვნელობა  
მხოლოდ იმისთვის არ გასადონ, რომ ტუროვს თავიანთ ბალ-  
ში საკუარელი არ მიეპროს და არა ჭროცნოს, ანუ ნინას  
კარდი შეადაროს, თუ კარდი ნინას და სხვა ამ გვარ რამები. ასეთის  
სამარხისი მასხარობის შემდეგ მე მზათა კარ, რომ  
უპელა ჩეენი უამშეპა მწერლები ერთის თქმით და გარდაწყვე-  
ტით გვმო და უპელა მათზე მაღლა დანიელ ჭრებამე დავაუნო.  
ეს იმიტომ, რადგანაც ლექსის, თუ შროზის, მე მხოლოდ ისეთ  
რამეს კაჭცევ უკრადლებას, სადაც კაი რამ გამოსჩანს. ასეთ ღირსე-  
ბიანთ მე ჭრებამეს გსთვლით. ჩეენს გარდა ეს სხვებისაგანაც ასე  
უნდა იყოს, მაგრამ ჩეენდა საუბედუროდ ეს ასე არის და  
ჩეენი ჰქეების უმეტეს ნაწილის გუკე მამდარ შროგრებისტები  
და მათი პატარა მიმართვნიც დიდათ აფასებუნ ისეთის უკიცურს  
ნაწერები, სადაც ცარიელ ხელოვნებას გარდა მარა არაფერი  
სჩანს. ზოგში ესეც არ არის. მართალია, ზოგ ჩეენ მკელი  
აზიურ მიმართულების წარმომადგენელ შეკეტებს,, მუშა ბოჭუ-

ლაბებიც, უწერით და «დაბალ მხაგრელთაც» მაგრმ აქ ისიც  
უნდა გთვათ, ორმ შირველმა, „მუშა ბოჭულაძე“ იმიტომ კი  
არ დასწერა, ორმ იგი ამ გრძნობათა და მიმართულების ჭარ-  
ულს ჰქოთვნოდეს, არამედ იმიტომ, ორმ ბეჭ მუხამბაზულ  
ლექსების წერას თავისი ფერი გაუხუნდა და მას არაფ-  
რად ახსენებდა; ამ დროს, ამ მომსტენავ მეჩანგურემ შენიშნა,  
ორმ ზოგიერთი მელექსები ისეთ გზას ადგნენ და ისეთის  
მიმართულების ლექსებსაც სწერდნენ, რაც უფრო იზიდავდა  
ხალხის კითხვის სურვილს და თანაგრძნობას; ესეც ადგა და  
ხალხის მოსატყუებლად „მუშა ბოჭულაძე“, დასწერა. ამით,  
რასაკვირველია, ის არ შეცდა და ჩენს მახთხურს მოკლე შე-  
ხედულებიან უვიც პირებში დღით სახელი მოიხვავა. საჭმე იქმნ-  
დის მივიდა, ორმ ზოგიერთ გაიძერა ტუსლანგებმა ეს მკე-  
ლი წეს-წყობილების ერთგული მოხუცი კინადამ ახალ-აზროვ-  
ნების ნამდვილ დემოკრატ-სოციალისტად გამოხატეს! ოკ, რა  
სამაგლობაა ის, ორცა ერთ რომელიმე ბეჭს აზროვნებით გა-  
ჟღენთილ პირს აქტენ, ადიღებენ და მას ისეთ ჭარულების კაცად  
სთვლიან, რომელიც ამ კაცს თავის დღეში გულში არ გავრე-  
ბია. ცხადი საჭმა, რომ ეს არც თავის ლექსებში იტეოდა  
რასმეს, რაც მას არ სცოდნიყო, თავის ლექსებში თუ დაუკ-  
ლაბნა რამე შესახებ იმისა, რაც თავის გულის სიამოვნებას  
არ ეკუთვნოდა, ეს მსოფლიდ წაბაძვით, ურაბედათ მოსკლიათ,  
თორემ მის გაგება მათ სულ არ ჭერნდათ. მათ რომ სცოდ-  
ნოდათ, რომ მათი შეილები ამ გვარ ლექსებს ასეთსა და  
ისეთს აზრებს და განზრასულებას დასწომებდნენ, მაშინ, მე  
დაოწმუნებული კარ, რომ არც ერთი მათგანი ერთ სიტყვასაც არ  
იტეოდა იმ გრძნობების და აზრების შესახებ, რასაც ისინი  
ხანდისხან რამდენიმე სიტყვაც უძღვნიდნენ ხოლმე.

ჭონქაძეს, უმცველია, კარგად ეცოდინებოდა ის, რომ,  
მის მთხოვთბის გამოჩენის შემდეგ, მოაგალი მას ბატონ-  
უშაბის შირუთენელ მძაფებელ შირად ჩასთვლიდნენ, მაგრამ ეს  
საწყალი სემინარიელი ამას არ შეშინებია და საშეუენოდ გა-  
მოუთვავმს ის კეთილშობილური ჰეზრები და გრძნობები, რაც  
მას გულში ჸქონია ჩაბეჭდილი და შეთვისებული. დადი გაბე-  
დულება უნდა ჸქონიერ კაცს იმ დროს და ისიც მდაბილს  
შვილს, რომ მაშინდელ ძლიერად და შთენილ თავად-აზნაურულს  
არისტოკრატთა მწერალთ წინააღმდეგ ისეთი რამე ეთქვა და  
დაწერა, რაც მათთვის სასიამოვნო არ იქნებოდა. საწყალი კე-  
რესელიძის „ცისკარი“-ც სომ მარტო ჩემთა უდიდეს სახ-  
ლისშივილთათვის არსებობდა. | ამა ნახეთ ამ უურნალის ძველი  
ნომრების სარჩევი და თქმენ ნათლად დარწმუნდებით უკალა  
ამაბზე. ჩემ გერ ვიტუვით იმას, რომ ასეთ უკუღმართ  
შირების წინაშე მარტო გლეხ-გაცობა და მუშა ხალხი იყო  
დამდგმლებული და უარყოფილი, არა, ამათ გრეშე იყვნენ ისე-  
თი წერილმან საწყალ-აზნაურებიცა, რომელიც სხვა და სხვა  
უდიდეს არისტოკრატიულს თავადი-შვილებთაგან სასტიგად  
იდენტებოდნენ. მაგრამ ასეთ შირთა და გლეხთა დენიათა შორის  
მაინც განსხვავება იყო. თუმცა მაღალი წოდების შირთათვის  
კი მაინც და მაინც არც პირკელი შეადგენდა დად რამეს. ამაე-  
ბის გამო ამათში დიდი ალიაქთოთ და ვა კაგლასი იყო ატე-  
ხილი; უკელა ერთმანეთის დანთვემს და მიწაზე გასწორებას  
დამოდა. ამ საგანს ერთობ აშენად ამტკაცებს ის ცნობა,  
რომ თ. გრიგოლ არბელიანის და მის მსგავს დიდრონ არის-  
ტოკრატიულს შირებს საკმარისად შენიშნული მოწინააღმდეგა  
შეარტია ჸქონიათ შედგენილი, რომ ამის საშვალებით 1863  
წლებში, თბილისის თავად-აზნაურთა მარშალთ დამიტრი ყი-

ფიანთ მსოფლიდ იმისთვის არ ამოერჩიათ, რადგანაც იგი იყო  
ერთი უბრალო აზნაურის შეიღი. \*) ამის შემდეგ წეტოვის  
უქავოდ უნდა დარჩეს ის აზრი, რომ, ის მდაბილ პირები,  
რომელიც სალსხან სცხოვრობდნენ და სალსხაც თავის ცხოვ-  
რებით საკმარისად იცნობდნენ, იცოდნენ ამათი ავი და კარგი,  
ჭირი, გაჭირება, მონება და სხვანი, რომ ამისთანა პირები იმ  
დროის ქართველ უდიდეს გვართ წარმომადგენელ მწერალთ ში-  
შის გამო ჟერსად გერაფერს დასწერდნენ; იმიტომ რომ ამ უდი-  
დეს გვარი შეიღილთ მკვდარ მწერალთ მიმართულების წინააღმდეგ  
წერა თვით ამ მწერალთა პირად მოწინააღმდეგობად ჩაითვლე-  
ბოდა.

საწყალ დანიელ ჭირნქაძის მოთხოვნის მოჯება მსოფლიდ  
ერთი აზნაურის შეიღი ან. ფურძელაძე, რომელმაც „სურამის  
ციხე“ გაარჩია და ცოტად თუ ბევრად, ავად თუ კარგათ. ამ  
მოთხოვნის საგანი და დედა ჭავჭარი მრავალთავის გახადა  
საუკადლებოდ. ამ შენიშვნის შემდეგ, მე ვუძერობ, ბევრი  
უკუღმართის თვალით გადმომსედვენ მე, რადგანაც,—საცა  
გინდა, და არ გინდა, — ფურცელაძეს სჩეირავსო, ფურცელაძის  
თავისას მცემელიათ. ამის შესახებ ჭავჭარმა ათასჯერ მისაუგე-  
დურა, მაგრამ მე — კი ვატევი, რომ ჩენ კურძობით თავვა-  
ნის ცემა არ ვიცით; ჩენ ფურცელაძეს ისეთ ნაირათ ვაფასებთ,  
როგორც უკუკელ შატრისან კაცს შეჭვერის, ჩენ იმას ისე  
უცემერით და ისე შატრის ვსცემთ, როგორც ილია ჭავჭარაძეს,  
ავავს, ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს და ზოგიერთა ისეთს  
ფეხშიშევა და „ბოსი კამანდათ“ ხმიბილ მწერლებს, როგო-  
რიც იყო საწყალი „იმედის“ რედაქტორი და დაკითა შეიღი.

\*) Русская старина, 1886 года.

რაც შესხვა ჩვენს წინანდელს მეღექსეუბს და მწერლებს, მათთვის ჩვენ ფურცელამის სესენებასაც გრ გავტედავთ, რადგანაც უკელა ჩვენი ძეგლი მწერლები ერთ უკარგის, უნამუსო და წამსდარ პირებად მიგვაჩნია. ამათში ეოველი პატიოსანი და და გეთილმობილური გრძნობასი სრულიად დამსობილი იყო, გამშრალი და გაფურცელებული. განც რა უნდა სთქვას, ჩვენ არა გის გიცხვა-მუქარების არ გვეშინიან, აქ კერძოლბითი თაუკანის-ფებს არათურში გამოისჭირება. რაც იყო და რაც მართალია, ჩვენც იმას გამოიბოთ და იმას კვრეთ. დ. ჭონქაძის შემდეგ, ამისავას არჩეულს საგანს ფურცელამე განტევა, ამან ამოილო პირებიად ამ მოთხოვნის უსახებ ხმა და, ხუთუ ჩვენთვის სირცხვილი არ იქნება, რომ ამაზე ხმა არ ამოვალოთ მხოლოდ მისოვის, რადგანაც ფურცელამეს ეკუთვნის იგი... ამავე შერთა თანამედროვე პირია იღ. ჭავჭავაძე, ამან დასწერა მოთხოვნაა „გლასის ნაამბობი“ და ბოემა „რაკდენიმე სურა-თი ესჩადის ცხოვრებიდამ“, რომელიც 1863 წ. მის მიერ დარწესებულს „საქართველოს მოამბე“-შიაც დაბეჭდა. აგარს კი ჭავჭავაძეზე ერთის წლით წინ ეკუთვნის ბატონ-ემბაზე ლექ-სების წერა და „ცისკარში“ ბეჭდა. ასე, ჭონქაძის შემდეგ ფურცელამე გამოვიდა ამ ასშარქზზე, ამის შემდეგ აკაგი და აკავის შემდეგ იღ. ჭავჭავაძე. თუმცა იღ. ჭავჭავაძემ თავის „გლასის ნაამბობის“ ბოლოზე დაწერის რიცხვად კი 1859 წ. მოუსო, ე. ი. სწორედ ის წელიწადი, რა წელსაც ჭონქაძის „სურამის ციხის“ ბეჭდა დაიწეს, „ცისკარში“. ეს ჩვენ ცოტა საქავილდ მიგვაჩნია და ამაზე ხუთავის ხუ შეგვრისხავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭავჭავაძეს „გლასის ნაამბობი“, 1859 წ. დაეწერა, მაშინ იგი ამ მოთხოვნას 1863 წლის დამლევამდე დაბეჭდავდა „ცისკარში“.

დ. ჭიათურა „სურამის ციხე“ დაიბეჭდა 1859 წლის „ცისკარში“, ეს მოთხოვთა 1863 წლის „ცისკარში“ გააჩნია ას. ფურცელაძემ. სწორედ იმ დროს, როცა „გლობის ნაამბობის“, „საქართველოს მთამბეში“ იბეჭდებოდა. ას. ფურცელაძის სტატია ბეგრად შესანიშნავია. ვიდრე „გლობის ნაამბობის“, იმიტომა, რადგანაც ამ წერილში უფრო პირუთვეულად და მოურიდებლივ არის საუბარი ბატონ-უმობის წინააღმდეგ, ვიდრე „გლობის ნაამბობის“-ში. მეორეც, „გლობის ნაამბობის“ იმ დროს სრულად არ დაბეჭდილა; დაიბეჭდა ის სრულად „კორპუსში“ 1873 წ. სხანს ბ. ჭავჭავაძეს „გლობის ნაამბობის“ ბეჭდებს მაშინ მორიდებია, რომ მით არა კი არა სწორებიყო.

ანტონ ფურცელაძის სტატია თავის მიმართულებით ბეკრად მდიდრად და ძვირფასად ჩაითვლება, ვიდრე თვით „სურამის ციხე“; ამაში აწერილია იმ დროინდელ „სურამის ციხის“ ოსმან აღების თავზეარის დაცემა და ის დაღუპვა, როცა კი მათ „სურამის ციხეში“ ჩაისედეს და შეი თავიანთ წამხდარი, გაფუჭებული და უსამართლო თავებიც დაინახეს. ფურცელაძე მეოთხეულს დალაგებით მოუთხრობს „სურამის ციხის“ შინაარსს. სხვათა შორის ერთ აღავას ამბობს, რომ „სურამის ციხის“ დედა აზრი უფრო დრამულია, ვიდრე რომანულით და ამიტომ ავტორი ქარგს იზამდა, რომ ეს მოთხოვთა დრამად დაეწერა. ამასედ ფურცელაძეს ჩეუნ არ ეთასმებით, რადგანაც ჩეუნ სულ სხვა შესედულება გააქვს, როგორც მოთხოვთა შინაარსზე, ისე ამ მოთხოვთაში გამოყვანილით შირთ სულის თვისებებზე, სასიათეზზე, მათს მოქმედებაზე და სხვაზე. ამის გარდა ფურცელაძე ბევრს ვიდეს ისეთს რამეებს ეხება და არჩევს ამ მოთხოვთაშიას, რომელიც თავის დროის გვა-

ჭად საკმარის საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს. ამ გარჩევაზამ სჩანს, ოომ ა. ფურცელამე თავის ახალგაზდობიდამე და გატაცებული და მიძღვარი უნდა უფლილიყოს რესის კრიტიკულთა ნაწერებისა და განსაკუთრებით ბეჭისევის, დობორლიუბოვის, პისარევის, ჩერნიშევსკის და სხვებისა. ოცა მე ეს წერილი წავიგითხე, ერთობ გავვირდი მასზე, ოომ ასეთი მიმართულების წერილის დაწერა მაშინ გაუტედია ფურცელამეს და ამასთანავე ისეთს უკრნალშიაც დაუტექდიათ, ოომლის უმთავრესს თანამშრომლებად ჩვენი მელი ცხოვრების წესების და ჩვეულებების დამცველი ქურუმ მთავრები ითვლებოდნენ. მე გავირცებული გარ იმაზე, ოომ ეს წერილი „ცისკრის“ რედაქტიას დაუტექდია; შევიტე, ოომ ამ სტატიის ბეჭიდის გამო „ცისკრის“ რედაქტიას მრავალ უდიდეს მწერალთაგან საუკედურებიც მიუღია. მაგრამ „ცისკრის“ რედაქტიას მეტი ოა გზა ჰქონდა, ოომ არ დაბეჭდა. ამ წელიწადს გამოვიდა ჭავჭავაძის „მოამბე“ და „ცისკრის“ შოლებიგა აუტეხს. „ცისკრის“ შოლებიზატორად ფურცელამე იყო. უნდა ითქვას, ოომ ფურცელამის სტატიები ისე ჭავჭავაძეს არ ეწინააღმდეგებიან, ოოგორიათაც თვით „ცისკრის“ თანამშრომლებს. ეს თვით 『ცისკრის』 თანამშრომლებსაც შეუჩიშნავთ „ცისკრის“ რედაქტორისთვის.

დ. ჭავჭავაძე დაიბადა 1830 წელს. ექვსი წლისა გახდა თუ არა, მისმა მშობლებმა იგი წისცეს გორის სასულიერო სასწავლებელში. აქ მან სწავლა შირველ შაგირდათ შეასრულა და 1855 წ. თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. სემინარიაში ეს შირველ შაგირდათ ითვლებოდა. სწავლა გაათავა 1858 წელს და ამავე წელს იგი დაიშნეს იმ დოკოდს

სემინარიის მასლობლივ დაფუქმნებულ სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად. ასეთი თანამდებობის მიღებისთვის საკმარისი ცოდნა და მომზადება უნდა ჰქონიყო დ. ჭონჭაძეს, რომ იგი მხოლოდ სემინარიის სწავლით განათლებული იმ დროის სასწავლებლის ინსპექტორად დაენიშნათ. განსკონებული მეტის მეტი ჩინებული სასიათის კაცი უოფილა; ეს, შაგირდობის დროს კე, ისეთ მიმართულებას სდგომია, რომ ამის აგებულებაზე და სულის ძლიერებაზე ერთობ დადი გავლენა ჰქონია უკეთ უბედულებათა სურათებს. ასეთის უბედურის სურათებისაგან ეს ისე გატაცებული უოფილა უოლმე, რომ მის მეოსებით სშირად საუბრობდა კოდეტ თანის თანამედროვე გაცემი, შაგრამ, საუბედულოდ, იმ დროს ასეთ რამებზე საუბრარი წმინდა სულელობად რჩებოდა სოლმე. სწორედ ესევე მესედულება გახდა იმის მიზეზად, რომ ეს საბორალო კაცი ერთობ ადრე, ახალგაზდა გარდაიცვალა. უნდა კსოვებათ; რომ ასეთი უბედურება მარტო ჭონჭაძეს არ სწევდია საქართველოში. ასევე დაქმართა ნიკ. ბარათაშვილს და საბორალო ნიკო ინაშვილს. იმას კი კოტუკო, რომ აქ სსენებულ სამ პირო გარდაცვალებაში საქმარისად დიდი განსხვავება სძებეს. პირველზე ძალიანაც შესაძლებელია, რომ ამ მწერლის თანამედროვე დაბალ ერთს ბატონებურს წესწყობილებას ისე ემოქმედნა მის სულის გეეტებაზე, რომ იგიც მალე გარდაცვლილიყო, რადგანაც, როგორ მკრძნობელი ამ უბედურის სქნის და მასთანკე საზოგადოებისაც თანაუგმნობარი, შეიძლება, რომ მით იგი დიდი ნალველიანობაშიაც იქთ ჩაგარდნილი. ცხადი საჭმა, რომ „სურამის ციხის“ დამწერი უბრალოდ არ გაატარებდა თავის დროს, ცხადი საჭმა, რომ იგი თავის თავისთვის იმ დროების წესწყობილებაში გულის გასახეთების მეტს კერას ნა-

სავდა და შეიძენდა, ამზე სხეუბმაც ასე სთქმეს, ამიტომაც შეიძლება, რომ ამის გარდაცვალების ზედ გაფლენაზე ისე მის ცხოვრებას და სხესა და სხება ნაირს პირობებს და სსეულის უძლურებას არ ჭერდა მნიშვნელობა, ოთვორათაც იმ დროის ქართველ ერის ძევლებურ საგს მოკიდებულ მონურს ცხოვრების წესებთ, ობელნცც მკვიდრად იყო ჩანერგილი იმ დროის ქართველებში. გაცს ჰატარა გამოცდილება და გონებითი განვითარება რომ ჭერნივ და მის მეოსებით იმ დროის ერის ცხოვრებისთვის უურადღება მიეშერო, მაშინ იგი, კინ იცის, რა გულის გასახეთქმს და სამწესარო სურათებს არ შენიშნევდა. მე მგონია, რომ „სურამის ციხის“ დამწერს საკმარისი უურადღება ეჭმნებოდა მიშერობილი იმ დროის ქართველ ერის უბედურ ცხოვრებაზე და სწორებ ამავე უბედურს ცხოვრების წესებს საკმარისი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ჭირნქაძეს სიცოცხლის უძლურებაზე და აკომუშეობაზე, თარებულ ეს თავის პირველის ცხოვრებიდამცე სემინარიდან მასლიაბლივ სასულიერო სასწავლებლის ინსტეტორად იქმნა დანიშნული და ამ თანამდებობის კილდოთი იგი ისე წინ წავიდა, რომ სულ მცირე სხის განმავლობაში ცოლიც შეირთო. მაინც ყოველ შემთხვევაში ჩვენ ერ ვიტურით გარდაწესეტით იმს, რომ ამის გულში იმ დროის უბედურ დაბალ ერის ცხოვრებათა ცნობები ისე უოფილიერს მოზღვავებული და ფესვებ გადგმული, რომ მის მეოსებით იგიც ერთობ მალე გარდაცვალებულიყოს. კინ იცის, იქნება. მის სიკვდილზე სრულიად არათვერთ გავლენა ჭერნივის იმ დროის საზოგადოების დავრდომილებას; საძაგლობას და თუ გარდაიცვალა, იგი გარდაიცვალა ისე, როგორც ისოცებიან ამ სოფლის სიამოვნებაში მუოფნი პირნი. ისიც შეიძლება ვაფიქროთ, რომ „სურამის ციხის“ დაწერა უცაბედად მოუვი-

და და შემდეგ დოკებში იგი ამ გვარ მიმართულებას აღარც-კი  
ეჭუთნოდა. ამის შესახებ, ჩექნ ცოტათი ეჭიში შემდივარ,  
რადგანაც მან ამ მოთხოვბის შემდეგ სხვა საწარმოების არაიერი  
დაუტოვებია, მანც აქ მის სიკვდილს განსაკუთრებითი მნიშ-  
ვნელობა მიტომ მივუცით, რადგანაც ჩექნის ძევლს მწერლობაში  
უდრო-უდროდ და ახალგზაზდა მხოლოდ „სურამის ციხის“  
დამწერი გარდაიცვალა. რატომ სხვა პატრიოტი მწერლები არ  
ისოცებოდნენ და იყლიატებოდნენ. ასეთივე უბედური სკედრი  
სვდა ბარათაშვილს; ამის სიკვდილი უდროვო იყო, მაგრამ  
უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უდიდეს არისტოკრატიულს ქარ-  
თველ თავადისშვილის მოდგმის შვილზე, სიკვდილის მიზე-  
ზები კი იმითი არ აიხსნება, რომ კითომც ბარათაშვილის  
სიკვდილს უმთავრეს მიზეზთ და საგნად მის დოკოდს დახაგრულ  
ქართველ სალხის უბედურებას გამოეწია. არა, ამისთანა საქ-  
მებთან ბარათაშვილის კავშირი არ ჭრისდა და ორგორც უდი-  
დეს არისტოკრატ-ბურჟუათაგანი არისტოკრატიულ გზასა და  
გვალსაც ადგა. ამის მიმართულებას და ლექსების წერას არ  
ჭრისდა დიდი პროგრამმა. მისი ლექსების შინაანსი და მი-  
მართულებანი სულ უბრძლო რამ კრძო ეგოიზმის მსარებით  
არის გარემოცული. არც ერთი ამის ლექსი არ შეიძლება კაც-  
მა აიღოს და მისს შინაანსსა და მიმართულებასაც ერთ ნაი-  
რი ჰქომიარიტი შესედულება და მიმართულება მისცეს. ბარათა-  
შვილი, ორგორც მკვდარი და ცრუ იღებლისტი, ისე დაძრწის  
თავ გადაგლებილი, გულ მწუხარი და თვალ ცრემლიანი თა-  
ვის ლექსებში. უოველთვის და უოველგან ისე ქართველ დახაგ-  
რულ მოელის ერთს უბედურებას არ დასტირის და დაჭვალობს,  
ორგორც თავის მოდგმათა შვილებთ გვარიშვილობის დაკრდო-  
მას და გაწყვალებას; თვით ამის გამოჩენილი ლექსის „მერა-

ნის“-ს დაწერის მიზეზადაც გამსდარა ერთი ვიღაც ლობე-  
ლიანის ფეხში ტკედ ჩავარდნა. \*) ამს თვით ბარათაშვილიც  
ამტკიცებს თავის წერილებით, მაგრამ ქართველი-ერ ამ ლექსს  
ათას ნაირ საზოგადო შესედულებას და ჭაზროვნებას სწამებენ  
და ამ პლეტის ნიჭით ქვემასაც ემუქრებიან. მაგრამ რის სა-  
ზოგადო მიმართულება, რის უდიდესი დედა აზრები და ლომა  
მოაზრება! თვით ბარათაშვილის დრო რა დრო იურ ჩვენში!...  
რა სწავლა, რა განათლება იურ იმის დროს, რომ მასაც უდი-  
დესის ლომა მოაზრების და რეალურის განვითარების მსარების  
მნიშვნელობა სრულდიურ. ისიც ისეთს კაცს, რომელიც  
თავის წერილებში უმაღლესს სწავლას მსოფლოდ მიტომ ნა-  
ტრობდა, რომ მის შემდეგ დიდს ალაგს ჩავიგდებდით, შე-  
ძლებე გაერდას მივიკრავდით და სალსისაგანაც დიდ მაღ ფუ-  
ლებს ავიღებდით. მაღე ისეთი დროც დადგება, როცა ამ ბურ-  
უჟაზულ მოდგმის ინტერესებთა დამცველს და მომტირალს  
შოეტს ეკროპულს ასალ-აზროვნების რეზორმატორებს გვე-  
დით ამოუკენებენ. ბარათაშვილი რომ დიდი გენიოსი უოფა-  
ლიყო, ქართველის ერთის ნაწილის დაჩაგრულის ერთის სიუკა-  
რულით დატანჯული და გზა-გვალ არეული, მაშინ იგი თავის  
მამაპაპათა მსგავსს ლექსების წერას არ შეუდგებობა და იგავ  
სიტუაციით ბულბულს კარდზე კი არ ატირებდა, სულმბულს  
მწირთან არ გააბასებდა და სხვა. ასეთ იგავ სიტუაციით  
ლექსებს კი არ დასწერდა, რომლის მსგავსი ლექსების მნიშვნე-  
ლობა დიდი ხანია რაც დავარდა, არამედ გულასსნით და თვალებ  
ასილვით დაიწყებდა ქადაგებას. ეს გამოჩენილი თავადი მსოფლოდ  
სანტრიმენტალურ, დიდად მგრძლობერ და ფრთა გაუშლება სა-

\*) ლექსი, ოქმულნი ბარათაშვილისა, გვერდი 81. 1886 წ.

თავადო კითხვების ინტერესებთა დამცველ პატრიოტ-იდიალისტ-  
 პოეტი დ შეიძლება კადვიაროთ, თუმცა-კი არტელიანზე და უკალა  
 თავის დროის მეღმქსებზე თავის ლირიზმით ეს ისე მაღლა სდგას,  
 როგორც დ. ჭავჭავაძე—ბატონ-ემლაბის შესახებ კითხვის აღმოჩით  
 უშენა თავის თანმიმდევრულ მკვდარ ქართველ მწერლებზე. ბარა-  
 თაშვილი თავის მკვდარის იდეალებით შესანიშნავია მსოლოდ  
 იმით, რომ იგი უგელგან და უოველოვის დიდად მგლოვიარე  
 და შავებ ჩატომული ფარაფების დასტირის; ეს გლოვობს, კონე-  
 სის მწარედ, ფართვანასებრ უშლება თავის სატრიუალო სასა-  
 ლუქს გარსა და, რა ამის დაწვას უცქერის, თვითონაც ჭავჭავის,  
 რომ მასთან ერთად ზედ დაწილს და ამის დაწყიოთ თავის სი-  
 ცოცხლეც მოისპოვა. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ამ  
 გლოვა-ტირილში და ვაჟაში ის გლოვა და ვაჟა კი არ იხს-  
 ტება, რომ ბარათაშვილი კითომც დაჩაგრულ ერთა უგიძუ-  
 რეს მდგრადრეობით უოვილიყოს. ალელებული, სიცოცხლე  
 გამწარებული და გულ-მუცელ ნაღვლით და ბალდმით სავსე, არა,  
 ამსთან მას საქმე არ ჭერსდა; იგი, როგორც .,,დიდი გენიო-  
 სი:“ მაგრამ მასთანკე უსეიორ კაბინეთური თავადი, გატარე-  
 ბული იყო პოეტურის ოცნებებით, რომელთა სამთავროში  
 ხშირად უფრო ისეთს საკებს ეძლეოდა ადგილი, რაც უფრო  
 პოეტის ესტეტიკურს გრძნობებს ანელებდნენ. უნდა ითქვას,  
 რომ ეს გამოჩენილი მომტირალი მეღმქსე, თუ დღე და დამე  
 ქართველების ერთის ნაწილის დავოდომილებას აქცევდა უურად-  
 ღებას და თვის ლექსებშიაც ამაქსს ესებოდა, მაშინ ესეც თა-  
 ვის მამა-პაპეულ გზას კი არ უნდა დასდგომიყო, არამედ, თუ  
 ამის დაწერა უნდოდა, მაშინ იგი თავის იგავ-სიტუაციაშით  
 მწარე გოდებას არ გაჭერებოდა და თვითონაც ასეთის ვაებით თვა-  
 ლებს ცრემლებით არ ინამებდა. იქნება იგი თავის ნიჭის საფლაში

კერ სტევდა; ამისი სულის კეთება ხალხისას კერ ეთვისებოდა და ამიტომ მიღწოდა მთებზე სევდის უკუსაურელად. იქნება გარემოება და იმ დროის კინობები ნებას არ აძლევდა ამ თავის, რომ თვისი გრძნობები აშკარად განეფანტნა თვის მელექსების მეოხებით; იმ დროში, ასე წერას ამის ვინ დაუშლიდა, ხელთ ნაწერი ლექსებისთვის ხომ არ დაიკურდნენ და დასჯიდნენ. თუ კი მის კეთილს თრცებებს საზღვარი არ ჭირდა და იგი უკელგან კაცთა ქანცხარიულს თანასწორობას ჭირდა და გობა თვისი ლექსებში, მაში სად არის ეს მისი ლექსები და ან სად გამოიჭირიტება ამ გვარი აზრები!... მე აქ თავისუფლად შემიღლიან კსოვება, რომ ბარათაშვილი უფრო ქართველ კერძო ერთი ნაწილის ინტერესების მომღერალ დიუპრამშების მწერლად მიმართა. მე მგრნა, რომ უკელა ამი სლექსებში მხოლოდ ეს გამოიჭირიტება და ამიტომ მასაც თავის თავი უკელგან აბოლ მწირად მიაჩნია. ამის უკელგან და უოკელთვის მხოლოდ თვის მოდგმათა შვილებთ დაკრდომა ეგლოგება და ამის სტირის, რომ ქართულ ბეჭედ წესებს თავისი ფერი მისდით და ვარდებაო; ამ დავარდნას იგი ისე სამწუხარო და საგრძნებელად ხადის, რომ სჯობს ამის დავარდნით ჩენც აღვიგავოთ დედამიწიდამათ. ამის უოკელს ლექსში შიროვნულად ეს გამოიჭირიტება. ~~ამის უოკელგან და უოკელთვის მხოლოდ თვის ტეგაზე ჯეს გენესა-ტირილი, თვის ჯიშზე და ბაგრატიანთ გვარიშვილებზე,~~ რომელიც საქართველოს ხან ას-მალს მიჰყიდდნენ და ხან სპარსეთს. ნუ თუ ესენი ღირსი არიან, რომ ჩენ მოვიგონთ როდისმე და მათის მეფობის გულისათვის, ბარათაშვილისებრ, თვალნცც ცრემლებით ვინა-მოთხ!.. თუ ბარათაშვილის ლექსების შინაარსი ამისთანა თრცებებს არ წარმოადგენს, მაში ვინ ატანდა მას ძალას, რომ

თვისი პოეტური ნიჭი იმის მსხვერპლად გაეხადნა, ორმ მთა-  
წმინდაზე ასულიყო და იქიდგან გადმოეხედა ამ ცოდვით სავსე  
თბილისისათვის, ანუ უურადღება შეიტყრო ლურჯი ცისთვის,  
დილის განთადის მზის სხივებისთვის, დამის ბადრი მთა-  
ვარისთვის და სხვა ასეთ რამებისათვის, ოომლითაც უკველ-  
თვის უფრო ამათებური შოდგმის შვილები სარობდნენ. მოვა-  
ლე იურ ეს გენიოსი, ორმ თავისი ნიჭით მარტო იმ დროის  
მუქთა ულაშია მდიდარ პირთ სიამოვნების მშენებათა შესაძ-  
გობლად კი არ უნდა გამსდარიულ, არამედ სალხის ცხოვრების  
კურთხმულში უნდა ჩამჯდარიულ; იქ უნდა შეესწავლა ბერიდ  
რამ, დაენასა ის, თუ რა სდევნიდა უფრო იმ დროის ქართ-  
ველებს, რა აწუხებდა, ვინ იურ უფრო დაჩაგრული, ილაკ  
გაწყვეტილი, სიცოცხლე გამწარებული, გაუსარებელი, გაუცი-  
ტებელი და სხვანი; მასში უნდა გაერჩია ავი კარგისაგან დაჩაგ-  
რული-სედნიერისაგან. უნდა შეემცნა უკელასთვის ნაკლულევა-  
